სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თეონა კობიაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	**88**	**100**

გიორგი გზობავა

თარიღი : 05.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„5“ დეკემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **თეონა კობიაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **თეონა კობიაშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 2 დეკემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **თეონა კობიაშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ამავე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **თეონა კობიაშვილი** გამოირჩევა გულისხმიერებით, მიზანდასახულობით, ობიექტურობით, ჰუმანურობით, პრინციპულობით, შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით, თავმდაბლობით და პასუხისმგებლობის გრძნობით. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში **თეონა კობიაშვილი** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

დასკვნა: ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **თეონა კობიაშვილი** **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

თეონა კობიაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 4.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სამოქალაქო სამართალში* - თეონა კობიაშვილს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და მრავალმხრივ შესწევს უნარი პრაქტიკაში გამოიყენოს იგი. აქვს სამართლებრივი ანალიზის შესანიშნავი უნარი. ახასიათებს არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად კორელაცია და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით ზუსტად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების მეტად განვითარებაზე. ადმინისტრაციულ სამართალში - თეონა კობიაშვილს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას, აქვს სამართლებრივი ანალიზის ძალიან კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი

სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად, თანმიმდევრულად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული. *სისხლის სამართალში* -თეონა კობიაშვილს, აქვს კარგი თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში კარგად გამოყენების უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. შესაბამისად, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, რაც ეხმარება დაკისრებულ სამუშაოს ზუსტად და ხარისხიანად შესრულებაში. ასევე სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს და შრომისმოყვარეობის ხარჯზე სამუშაოს დატვირთვას კარგად უმკლავდება. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გასაგებად და მარტივად აქვს გადმოცემული აზრი."

თეონა კობიაშვილთან გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალს, საპროცესო კანონმდებლობას, საქართველოს კონსტიტუციას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თეონა კობიაშვილი** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს პროფესიით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, თეონა კობიაშვილის მიერ შესრულებული საპროცესო დოკუმენტები გამოირჩევა დასაბუთებულობითა და დამაჯერებლობით, გააჩნია ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე, მისი გადაწყვეტისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის თითქმის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად და გასაგებად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თეონა კობიაშვილი** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

თეონა კობიაშვილს გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, თეონა კობიაშვილს მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა. ისინი იშვიათად, მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებდა. შესაფასებელი პირი გულდასმით და დიდი ყურადღებით ამზადებდა სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო დოკუმენტების პროექტებს მათი შინაარსი გასაგებად და ლაკონიურად იყო ჩამოყალიბებული. შესწევს უნარი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გადმოსცეს სწორად, ნათლად, გარკვევით და ლაკონიურად. კონცენტრირებულია ძირითად და მნიშვნელოვან გარემოებებზე, გრამატიკულად გამართულად წერს. იგი გასაგები ენით გადმოსცემს პრობლემურ საკითხებს და სწორ სამართლებრივ შეფასებას აძლევს მათ. ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს და შემდეგ მოკლე შეჯამებას ასახავს წერილობით. შესწევს უნარი, საქმის გარემოებები გასაგები ენით ჩამოაყალიბოს ზეპირად, ამომწურავად და თანმიმდევრულად გადმოსცემს აზრს.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თეონა კობიაშვილი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით, შრომისმოყვარეობითა და მიზანდასახულობით.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თეონა კობიაშვილი** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

თეონა კობიაშვილი არის ღია სიახლეების მიმართ, აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის სურვილი.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

თეონა კობიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები, ასევე, ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის გამოცდა და გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თეონა კობიაშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **თეონა კობიაშვილის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს შეუძლია საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, აქვს ინიციატივის გამოჩენის უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი მონაწილეობს სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსში, კერძოდ:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- პრაქტიკული ფსიქოლოგია - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე შრომითი დავები და სასამართლო პრაქტიკა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- გადაწყვეტილების შედგენა და დასაბუთება ადმინისტრაციულ სამართალში - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენციის მექანიზმები - საჯარო სამსახურის ბიურო;
- საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო დავების განხილვა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა / CoE;
- თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის საჭიროების ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები (სამოქალაქო/ადმინისტრაციული) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **თეონა კობიაშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **თეონა კობიაშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა 88 (ოთხმოცდა რვა) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი